



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №199

2016 წლის 29 სექტემბერი

ქ. მცხეთა

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წიწამურში რეგისტრირებული მოქალაქე გელა ბუჩუკურის (პ/ნ №31001030564) სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, „მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №2 დადგენილების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 27 სექტემბრის №05/4/ 1237 მომართვის საფუძველზე,

1. მიეცეს თანხმობა მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას, დააფინანსოს მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წიწამურში რეგისტრირებული მოქალაქე გელა ბუჩუკურის (პ/ნ №31001030564) სამედიცინო მომსახურება 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.
2. განკარგულების შესახებ ეცნობოს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. მცხეთა, სამხედროს ქ №17.

საკრებულოს თავმჯდომარე



ჯემალ სოლოლაშვილი